



ონლაინ მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი

16 ივლისი - 16 აგვისტო 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ (CDI) განაახლა მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2013 წლის 15 ივნისიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე და მოიცავს საინფორმაციო პორტალის ტიპის 12 ყველაზე რეიტინგულ ქართულ ვებგვერდს: netgazeti.ge, droni.ge, politico.ge, liberali.ge, news.ge, presa.ge, civil.ge, tabula.ge, garbonline.tv, for.ge, dfwatch.net, palitrav.ge. მოცემული ანგარიში მოიცავს მედიამონიტორინგის შედეგებს 16 ივლისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით.

ონლაინ მედიის მონიტორინგის მეორე პერიოდში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის მეორე პერიოდში შედარებით ინტენსიურად შუქდება პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობა, თუმცა მათი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი მონიტორინგის სხვა სუბიექტებთან შედარებით კვლავ საკმაოდ დაბალია.
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით ონლაინ მედიაში მონიტორინგის მოცემულ პერიოდშიც შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით.
- ინგლისურენოვან ვებგვერდებზე dfwatch.net და civil.ge (civil.ge სტატიებს აქვეყნებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ და რუსულ ენებზე) იკლო

კრიტიკულმა მიდგომამ საკითხების მიმართ და შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები.

- მონიტორინგის მეორე პერიოდშიც ონლაინ მედიის მთავარ პრობლემებად რჩება საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა სიმცირე და სტატიების სათაურების შეუსაბამობა ტექსტებთან.

netgazeti.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში netgazeti.ge –ზე გამოქვეყნებული სტატიები უმეტეს შემთხვევებში ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით იყო მომზადებული. არ გამოვლენილა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები. ინფორმაცია უმეტეს შემთხვევებში გადამოწმებულია, ინფორმაციის წყაროც მითითებულია. ხშირად ვხვდებით ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებს, პოლიტიკოსთა კრიტიკულ შეფასებებს რესპონდენტთა მხრიდან. ვებგვერდზე ხშირად გვხვდება კრიტიკული სტატიები ხელისუფლების მიმართ. netgazeti.ge-ზე არ შეიმჩნევა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

ვებგვერდი დღის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ თემებს აქტიურად აშუქებს, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები მონიტორინგის მოცემულ პერიოდშიც აქტუალურია და ინტენსიურად შუქდება. გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოიკვეთა მთავრობის მიმართ (27%).


პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო კამპანიის დაწყებას ემთხვევა ვებგვერდის თემატიკის გამრავალფეროვნება. გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატებთან ინტერვიუები; მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით ვებგვერდზე საპრეზიდენტო კანდიდატების საქმიანობის გაშუქება საგრძნობლად გაზრდილია.

მმართველი გუნდის კანდიდატის საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო 12 აგვისტოს და შესაბამისად, გიორგი მარგველაშვილის აქტივობების გაშუქება ამ დღიდან გახშირდა(4%). თითქმის იგივე ინტენსივობით შუქდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის საქმიანობა (4%). თუმცა, ეს მაჩვენებელი გაზრდილია დავით ბაქრაძესთან საკმაოდ ვრცელი ინტერვიუს გამო და არა კანდიდატის აქტივობების გაშუქების შედეგად. უარყოფითი ტონის მაჩვენებელიც ამ ორ სუბიექტს თითქმის თანაბრად აქვთ (დ. ბაქრაძე 8 %, გ.

მარგველაშვილი 9%) , ხოლო პოზიტიური მაჩვენებელი (8%) მხოლოდ მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ გამოიკვეთა.

უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრეზიდენტის (20%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26%) და მთავრობის (14%) საქმიანობის გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



droni.ge

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით droni.ge-ზე შეიმჩნევა მკვეთრი გაუმჯობესება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. ჟურნალისტთა ტექსტებში თითქმის აღარ გვხვდება დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, რაც droni.ge-სთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი იყო. მსგავსი დარღვევები არ შეიმჩნევა მონიტორინგის მოცემულ

პერიოდშიც. ვებგვერდზე კვლავ ნათლად ჩანს დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, მეორე მხრივ კი უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ მიმართ. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ პოლიტიკოსის კრიტიკა უმეტეს შემთხვევებში ხდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით. droni.ge სუბიექტთა კრიტიკისას აღარ იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას, ზედმეტსახელებს და ა.შ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად პრეზიდენტისა (36%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (26%) საქმიანობა შუქდებოდა.


უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მთავრობის (75%), პრემიერმინისტრისა (32%) და გიორგი მარგველაშვილის (31%) საქმიანობის გაშუქებისას. მეორე მხრივ, დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა პრეზიდენტისა (24%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (15%) გაშუქებისას.

droni.ge მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არ გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით. უმეტეს წილად შუქდებოდა პოლიტიკურ პარტიათა აქტივობები, პრეზიდენტობის კანდიდატთა და მთავრობის წევრთა აქტივობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვებგვერდზე 5 აგვისტოს განთავსებული ფოტო-კოლაჟი („უკომენტარო ფოტოები: ასე ისვენებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი“) სადაც წარმოდგენილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის რამდენიმე ფოტო, რომლებიც არანაირ დადებით ან უარყოფით ელემენტებს არ შეიცავს. აბსოლუტურად გაუგებარი რჩება თუ რატომ გადაწყვიტა ვებგვერდის რედაქციამ ამ ინფორმაციის გამოქვეყნება.

ვებგვერდზე, 2012 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგთან შედარებით, შემცირდა ანონიმურ და ნაკლებად სანდო წყაროთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრნობით მომზადებული სტატიები. უნდა აღინიშნოს, რომ droni.ge-ზე მონიტორინგის მეორე პერიოდში შუქდებოდა როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა კომენტარები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge-ზე შეიმჩნევა მკვეთრი გაუმჯობესება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. ეს ტენდენცია არც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შეცვლილა. თუმცა, ვებგვერდი რჩება საკმაოდ ტენდენციური - აშკარაა ერთი მხრივ დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხოლო

მეორე მხრივ უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ მიმართ.



politico.ge

politico.ge მონიტორინგის მეორე პერიოდში გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირია გადაუმოწმებელი ფაქტების გამოქვეყნების შემთხვევები. ასევე, სტატიებში შეიმჩნევა ინფორმაციის წყაროთა სიმცირე. გამოქვეყნებული მასალები ხშირ შემთხვევებში მხოლოდ ერთ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა და იშვიათად არის წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებები საკითხის შესახებ.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად, თითქმის თანაბრად გაშუქდა „ნაციონალური მოძრაობის“ (18%), პრეზიდენტისა (18%) და მთავრობის (17%) საქმიანობა. აღსანიშნავია, უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კოალიცია „ქართული ოცნების“ (45%), პრემიერმინისტრისა (41%) და მთავრობის (39%) გაშუქებისას.

ვებგვერდზე ცალკეულ სტატიებში არ შეიმჩნევა რაიმე სახის მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ; თუმცა, ვებგვერდი ინტენსიურად აშუქებს

ისეთ საკითხებს სადაც მმართველი პარტიის მიმართ ძირითადად უარყოფითი ტონი იკვეთება.

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად დავით ბაქრაძისა (4%) და გიორგი მარგველაშვილის (3%) საკმიანობა შუქდებოდა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გიორგი მარგველაშვილის (24%) გაშუქებისას.

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით ვებგვერდზე საგულისხმო ცვლილებები არ შეიმჩნევა.




liberali.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში liberali.ge ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას მასალების სიმცირით გამოირჩევა. რიგ შემთხვევებში მთავარი თემები არ არის ამომწურავად გაშუქებული. მასალები მოცულობით პატარა ზომისაა და ძირითადად ერთ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა. ვებგვერდი მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებისას საკმაოდ მიუკერძოებელი და ობიექტურია. ასევე, მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდი გამოირჩევა ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლებით.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა მთავრობის, (40%) პრემიერმინისტრის (11%) გიორგი მარგველაშვილისა (10%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (9%) საქმიანობა. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრეზიდენტისა (46%) და გიორგი მარგველაშვილის (49%) გაშუქებისას. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილისა (10%) და ნინო ბურჯანაძის (4%) საქმიანობა შუქდებოდა.

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით ვებგვერდზე გაზრდილია ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები.



news.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში news.ge-მ აქტიურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. მართალია, ვებგვერდი ძირითადად კვლავაც მოკლე, კომენტარის ტიპის სტატიებს აქვეყნებს, სადაც იშვიათადაა დაცული წყაროთა ბალანსი, თუმცა, მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, სტატიებში შედარებით მეტად შეინიშნებოდა წყაროთა ბალანსის დაცვის მცდელობა. მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სტატიაში იყო შესაბამისობის პრობლემა - სათაური და ტექსტი არ იყო ერთმანეთის შესაბამისი.

news.ge ხშირად იყენებს სათაურად ციტატას, რომლის ავტორიც სათაურშივე არ ჩანს და ეს ციტატა, როგორც წესი, საკმაოდ მკაცრ ბრალდებას შეიცავს ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ასევე, ხშირია, როდესაც სათაურში წარმოდგენილია ისეთი შინაარსის ტექსტი, რომლის შესაბამისი ამბავი სტატიაში საერთოდ არ გვხვდება, ან გვხვდება მხოლოდ გაკვრით ნახსენები.

მონიტორინგის მეორე პერიოდშიც news.ge კვლავ ინტენსიურად აშუქებს სოციალური ქსელიდან მოპოვებულ ინფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ news.ge-ზე არ შეინიშნება მონიტორინგის რომელიმე კონკრეტული სუბიექტის განსაკუთრებით ინტენსიურად გაშუქების ტენდენცია. თუმცა, მონიტორინგის განმავლობაში შედარებით ინტენსიურად მთავრობის (28%) საქმიანობა გაშუქდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად გაშუქდა სხვა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაც (გარდა საპარლამენტო პარტიებისა).

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ news.ge-ს გაშუქების სტილი და მანერა შედარებით გაუმჯობესდა, რადგან უფრო ნაკლებად ან თითქმის არ გვხვდება ისეთი ტიპის დარღვევები, როგორიცაა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, გამოკვეთილად ნეგატიური ტონი ავტორის მხრიდან, დაუსაბუთებელი მსჯელობა და ა.შ.




მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით presa.ge-ზე უარყოფითი ტონი და ცალმხრივი გაშუქება მთავრობისა და კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ გაზრდილია. სწორედ მთავრობა გაშუქდა ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად და ამ გაშუქების 82% უარყოფით ტონში გვხვდებოდა. ვებგვერდი მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად აგრძელებს ინტენსიურად მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" (13%), "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (23%), პრემიერმინისტრისა (18%) და მთავრობის (33%) საქმიანობის გაშუქებას.

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ვებგვერდი მოვლენებს ცალმხრივად და აშკარად მიკერძოებულად აშუქებს. აღსანიშნავია, განსაკუთრებით მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პრემიერმინისტრის (89%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (84%) და მთავრობის (82%) საქმიანობის გაშუქებისას. მეორე მხრივ კი დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები პრეზიდენტის (41%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (20%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შეინიშნებოდა კრიმინალის საკმაოდ აქტიური გაშუქება. ვებგვერდმა აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში მომხდარი პრაქტიკულად ყველა კრიმინალური შემთხვევა გააშუქა და ყოველ ასეთ გაშუქებას ახასიათებდა ტენდენცია იმისა, რომ დასკვნის სახით შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უმოქმედობისათვის გაესვა ხაზი.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ presa.ge ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს. ეს ტენდენცია არც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შეცვლილა. აშკარად შეინიშნება დადებითი განწყობა პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი განწყობა პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



civil.ge


მონიტორინგის მეორე პერიოდში civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა გამოკვეთილად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე საგრძნობლად გაზრდილია ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები. საერთოდ, წინა პერიოდების მონიტორინგთან შედარებით civil.ge-ზე შეიმჩნევა საკითხების მიმართ კრიტიკული მიდგომის ნაკლებობა. იკვლავ ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობამაც.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა მთავრობის (20%), პრეზიდენტისა (18%) და პრემიერმინისტრის (18%) საქმიანობა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მთავრობის (17%) გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მაღალ დონეზეა

დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, მონიტორინგის მეორე პერიოდში ვებგვერდზე შემცირებულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზი.



tabula.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე თავსდება როგორც მოკლე საინფორმაციო ტიპის სტატიები, ასევე შედარებით ვრცელი წერილებიც. tabula.ge-ის განმავლობაში ცდილობს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფარვას. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევები.

მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქებისას ჭარბობს ნეიტრალური ტონი. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ (49%), მთავრობის (30%), გიორგი მარგველაშვილისა (30%) და პრემიერმინისტრის (19%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ცალკეული მასალების ანალიზისას რედაქციის გარკვეული ტენდენციურობა გამოიკვეთა დასავლელი პოლიტიკოსების მიერ ვანო

მერაბიშვილის დაპატიმრების პოლიტიკური მოტივით შეფასების ცალმხრივი და აქცენტირებული გაშუქებით.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge ცდილობს დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. თუმცა, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი დაკვირვების შედეგად ვლინდება რედაქციის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება კოალიცია „ქართული ოცნების“, პრემიერმინისტრისა და მთავრობის მიმართ.



garbonline.tv


(ვებგვერდზე 2 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები. შესაბამისად, მოცემული ანგარიში მოიცავს 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე პერიოდს)

მონიტორინგის მეორე პერიოდში ვებგვერდზე შეიმჩნევა მასალათა სიმცირე. პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ამსახველი ვიდეომასალა ვებგვერდზე უმეტესად ხანმოკლეა და ხშირ შემთხვევებში პრესკონფერენციაზე გადაღებული მასალების ფრაგმენტებს წარმოადგენს. იშვიათია ჟურნალისტის

კომენტარები თუ მსჯელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტთა ტექსტები მომზადებულია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების მაღალ დონეზე დაცვით. ვებგვერდი პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს და არ შეიმჩნევა დადებითი ან უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობისა (42%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (17%) საქმიანობა შუქდებოდა. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად მიხეილ (გელა) სალუაშვილის (16%), კობა დავითაშვილისა (12%) და ნიკოლოზ გორგიჯანიძის (6%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქებისას ვებგვერდი გამოირჩევა ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლებით.


მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ garbonline.tv იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებს და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, განსაკუთრებით მონიტორინგის მეორე პერიოდში გამოიკვეთა მასალათა ნაკლებობა, რის გამოც ვებგვერდი სრულფასოვნად ვერ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და საპრეზიდენტო კანდიდატთა საქმიანობას.



როგორც მონიტორინგის პირველ, ასევე მეორე პერიოდშიც ვებგვერდზე ძირითადად გვხვდებოდა საკმაოდ ვრცელი სტატიები, რომელთა უმეტესობას ინტერვიუები წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა უარყოფითად იყო განწყობილი პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ასეთი ინტერვიუების სიჭარბე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ვებგვერდის რედაქცია საკმაოდ მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები პრეზიდენტისა (77%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (49%) გაშუქებისას.

ვებგვერდზე გვხვდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. ხშირია პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ საკმაოდ შეურაცხყოფელი განცხადებები, როგორც სტატიის ტექსტებში ასევე სათაურებშიც; მაგალითად: „მინისტრები „მიხეილ მიუნჰაუზენის“ წინააღმდეგ“ (15 აგვისტო); „ნაციონალებისთვის პოლიტიკურ მოუსავლეთში წასვლის ვერდიქტი გაუქმებულია“ (29 ივლისი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ for.ge საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ხშირია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.




მონიტორინგის მეორე პერიოდში ვებგვერდზე შემცირდა ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობა და ძირითადად შედარებით მოკლე, საინფორმაციო ხასიათის სტატიები ქვეყნდებოდა. dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს პოლიტიკოსთა თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა საქმიანობას. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ვებგვერდზე შუქდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ (31%), მთავრობისა (24%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (12%) საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შეიმჩნევა გაშუქებული საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის შემცირება. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქებისას გაზრდილია ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს; მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შეიმჩნევა საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის ნაკლებობა.




მონიტორინგის მეორე პერიოდში ვებგვერდზე ძირითადად სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერიდან მოპოვებული კადრები ვრცელდებოდა. რამდენჯერმე განთავსდა ორიგინალური, ვებგვერდის ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ კადრები, ჟურნალისტის კომენტარისა და ტექსტის გარეშე. დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც ვიდეომასალას თან ერთვის ჟურნალისტის ტექსტი, თუმცა გაშუქება იყო ცალმხრივი, ვინაიდან არ შეიცავდა მეორე მხარის პოზიციას, რისი საჭიროებაც აშკარა იყო.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში palitratv.ge-მ ყველაზე ინტენსიურად პრეზიდენტის (32%) საქმიანობა გააშუქა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ვებ-გვერდი პრაქტიკულად ყოველთვის და ამასთან, მთლიანად ათავსებს პრეზიდენტის თითოეულ მიმართვასა და აქტივობას. ამ შემთხვევებშიც ვიდეომასალა, როგორც წესი, სხვადასხვა მედიასაშუალების ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ არის მომზადებული, რაც განაპირობებს იმას, რომ პრეზიდენტის გაშუქების ტონი უმეტესად დადებითია (39%).

მონიტორინგის მეორე პერიოდში თითქმის თანაბარი ინტენსივობით გაშუქდა პრეზიდენტობის კანდიდატების - კობა დავითაშვილის (4%), გიორგი მარგველაშვილის (3%), დავით ბაქრაძისა (2%) და ნინო ბურჯანაძის (2%) საქმიანობა. განსაკუთრებით მაღალი დადებითი ან უარყოფითი ტონის მაჩვენებელი რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ არ გამოვლენილა.

ვებგვერდი მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, თუმცა, ხშირად ვხვდებით უკომენტაროდ განთავსებულ ვიდეომასალას, სადაც არაეთიკური ლექსიკა შეუზღუდავად არის დაშვებული.



დასკვნა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ ინტენსიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გახშირდა სტატიები პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობის შესახებ.

ზოგადი ტენდენციების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ მედიაში შემცირდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები - კერძოდ, დისკრიმინაციული და შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია droni.ge, რომელმაც რადიკალურად შეცვალა მუშაობის სტილი.

მთავარ პრობლემად ონლაინ მედიაში რჩება ახალი ამბების მოკლედ და ზედაპირულად გაშუქება. ასევე, ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა და ცალკეული სტატიების სათაურების ტექსტთან შეუსაბამობა.

მთავრობის, პრემიერმინისტრისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ სისტემატური კრიტიკით გამოირჩეოდა presa.ge და droni.ge. პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სისტემატური კრიტიკით - for.ge.

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით, როგორც ზოგადად, ისე ცალკეულ ვებგვერდებზეც, რაიმე საგულისხმო ცვლილებები არ შეიმჩნევა.

